გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 139

2020 წლის 9 ოქტომბერი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2020 წლის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2020 წლის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2020 წლის ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2020 წლის ანგარიში

მსოფლიოში შექმნილი კოვიდ-19 პანდემიის გამო, სამსახურის მუშაობის სპეციფიკა რადიკალურად შეიცვალა. მიუხედავად ამისა განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი.

დამტკიცდა „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განათლების, კულტურული ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ღონისძიებების სელშეწყობის პროექტების თანადაფინანსების პროგრამების განხორციელების წესი (გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21დადგენილება10.04.2020წ).

ზემოთ ხსენებული წესის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს პროგრამების ფარგლებში შემოსულ პროექტებს.

განათლების განყოფილება

განათლების განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) განათლების მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას:

ბ) განათლების მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

გ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობას;

დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

განათლების მუნიციპალური პროგრამა -

„ განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა“

(ბიუჯეტი - 50 000 ლარი)

ცხრილი #1

№	პროექტის სახელწოდება	პროექტის განხორციელების პერიოდი	პროექტის წარმდგენი	პროექტის ბიუჯეტი (ლარი)	მერიის ფინანსური წილი პროექტში	ბენეფიციართა რ-ბა	შენიშვნა
1.	„საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი-2020“-ის შესარჩევი ტური	28 თებერვალი	მედია-პროექტი „ეტალონი“	4 960	2 960 - მომსახურები ს; 2 000- სტიპენდია; სულ 4 960	85	პროექტში გამარჯვებულსა და მის კლასის დამრიგებელს მიეცემათ სტიპენდია 100-100 ლარის ოდენობით 10 თვის განმავლობაში - საბიუჯეტო წლის დასრულებამდე (განხორციელდა)
2.	„ისწავლე წარმატებისთვის“	თებერვალი - დეკემბერი	ა(ა)იპ არასამთავრობ ო ორგანიზაცია „ბეთლემი“	4 865	4150	25	ორგანიზაციის ფინანსური წილი - 715 ლ. (მიმდინარე)
3.	„აღმოაჩინე შენი რეგიონი - ახალგაზრდები ტურიზმის სამსახურში“	მარტი-დეკემბერი	ა(ა)იპ საზოგადოება „ბილიკი“	5 985	3 890	18	ორგანიზაციის ფინანსური წილი - 2 095ლ. (მიმდინარე)
4.	გორის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებ ის დაჯილდოვება ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგის (100%-იანი გრანტის) მიხედვით	დეკემბერი			22 500	45	წლის ბოლოს იგეგმება 100%-იანი გრანტის მქონე კურსდამთავრებულებ ის დაჯილდოვება - 22 500 ლ (მიმდინარე)

სკოლამდელი განათლება

მიმდინარე სასწავლო წელს, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, მარტიდან შეწყდა სასწავლო პროცესი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და არსებული გარემოების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები გადავიდნენ დისტანციურ სწავლებაზე, თუმცა სოფლის ბაღებში იყო ინტერნეტთან წვდომის პრობლემაც. დისტანციური სწავლების ჯგუფმა, რომელშიც გაერთიანდნენ სააგენტოს მეთოდისტები და ბაგა–ბაღის აღმზრდელები, პანდემიის პირობებში უზრუნველყო სააღმზრდელო-საგანმანათლებლო

პროცესის უწყვეტობა. დისტანციურად ხორციელდებოდა ვიდეო- და აუდიო მასალის მიწოდება, რომელიც თანხვედრაში იყო სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტთან. ამ პროცესში შეძლებისდაგვარად აქტიურად იყვნენ ჩართულები აღსაზრდელების მშობლებიც.

ამავე პერიოდში, სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ, 5-ჯერადად, უზრუნველყო არამალფუჭებადი პროდუქტის დარიგება აღსაზრდელებზე, სასურსათო კალათის ღირებულება 20-25 ლარს შეადგენდა.

ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, განხორციელდა და სამომავლოდაც პერმანენტულ რეჟიმში გაგრძელდება საბავშვო ბაღებში სადეზინფექციო სამუშაოები, აგრეთვე გათვალისწინებული იქნება კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში, ფუნქციონირებას იწყებს ახალი საბავშვო ბაღი ქალაქ გორში, სადგურის დასახლებაში, რომელიც გათვლილია 3 სააღმზრდელო ჯგუფზე (90 ბავშვი) და დამატებით გაჩნდა 18 ახალი სამუშაო ადგილი.

გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (იხ. ცხრილი # 2) :

განათლების განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს გასვლით ვიზიტებს, როგორც სკოლამდელი აღზრდის, ისე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ურთიერთობს ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან.

საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა

გორის მუნიციპალიტეტის მერია 2019 წლიდან, (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანება №1254/ 29 დეკემბერი/2017 – „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ შესახებ), კანონის ფარგლებში უზრუნველყოფს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებას.

მიმდინარე 2020 წელს, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში (CON 190000590), 14.01.2020წ. გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გურია ტრანს“- ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №4 (საერთო ღირებულებით 450 772.74 , ერთეულის ღირებულება -

2.48, ხელშეკრულების ვადები - 15.01.2020-30.01.2021, საჯარო სკოლა - 42, მიმართულება - 185, მარშრუტი - 79, მოსწავლეთა რაოდენობა - 2500 - მდე, სასწავლო დღეების რაოდენობა - 172).

სასწავლო პროცესის დროს, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, ვერ შეძლო მომსახურების განხორციელება ხარვეზის გარეშე და რადგანაც ტრანსპორტირების მომსახურება უწყვეტი პროცესია, ხელშეკრულების 4.12 მუხლის თანახმად 16.01.2020წ. გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5, ალტერნატიულ კომპანიასთან - შპს „ბუქო 777" (საერთო ღირებულებით - 108 884.60, ერთეულის ღირებულება - 2.75, ხელშეკრულების ვადები - 16.01.2020-30.01.2021, საჯარო სკოლა - 22, მიმართულება - 87, მარშრუტი - 41, მოსწავლეთა რაოდენობა - 950, სასწავლო დღეების რაოდენობა - 171).

შპს „გურია ტრანს" - მა სატენდერო კომისიისა და ხელშეკრულების მხარეთა შორის დადებული პირობის მიუხედავად, ტრანსპორტირებისას წარმოქმნილი ხარვეზი ვერ აღმოფხვრა, პირიქით შეუსრულებელი მარშრუტების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა, შესაბამისად სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების მე-13-ე მუხლის შესაბამისად, 19.02.2020წ. მოჰყვა კონსოლიდირებული ტენდერის გაუქმება. შესაბამისად გორის მერიამ 27.02.2020 გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №29 შპს „ბუქო 777" - თან (საერთო ღირებულებით 215 446 , ერთეულის ღირებულება - 2.75, ხელშეკრულების ვადები - 21.02.2020 – 15.06.2020, საჯარო სკოლა - 43, მიმართულება - 184, მარშრუტი - 80, მოსწავლეთა რაოდენობა - 2500 - მდე, სასწავლო დღეების რაოდენობა - 70) .

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, 02.03.2020 – 15.06.2020 - ის ჩათვლით შეწყდა სასწავლო პროცესი.

შპს გურია ტრანს" - ის მიერ იანვრისა და თებერვლის თვეებში გაწეული მომსახურების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოხდა, დაგვიანებით, მარტის თვეში, არასრული სახით, რაც ჯამში მათივე გათვლით შეადგენს - 64 429.41 ლარს (დღემდე არ არის ანაზღაურებული).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულება №5 - ის თანახმად მოხდა - 37118.95 ლარის (16 იანვარიდან - თებერვლის 20 - ის ჩათვლით), ხოლო ხელშეკრულება №29 - ის თანახმად - 17 318.40 ლარის მომსახურების ანაზღაურება (21 თებერვლიდან 28 - ის ჩათვლით) შპს „ბუქო 777" - თვის (სულ - 54 437.35 ლარი)

სამომავლო გეგმები:

დეკემბერში იგეგმება სკოლის კურსდამთავრებულების დაჯილდოვება - ფინანსური წახალისება, ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (საგრანტო ქულის - 100 %) მიხედვით.

მიმდინარე 2020-21 სასწავლო წლის დასაწყისში, 1 ოქტომბერს, ქ. გორში იხსნება სადგურის საბავშვო ბაღი (3 სააღმზდელო ჯგუფი, 90 აღსაზრდელი, 18-ახალი სამუშაო ადგილი);

დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობები: სოფელ მეჯვრისხევში (6 სააღმზრდელო ჯგუფზე), ერგნეთი-მეღვრეკისში (3 სააღმზრდელო ჯგუფზე), გორში - კომბინატის დასახლებაში (6 სააღმზრდელო ჯგუფზე), სოფელ საქაშეთში (2 სააღმზრდელო ჯგუფზე), სოფელ ზეტში (4 სააღმზრდელო ჯგუფზე).

კულტურის განყოფილება:

კულტურის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება;

კულტურის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაცია;

მუნიციპალური მუზეუმების, კულტურის სახლების, თეატრების, სახელოვნებო სკოლების და კულტურის სხვა დაწესებულებების ფუნქციონირებაში ხელშეწყობა;

შემოსულ კორესპოდენციაზე (წერილი,განცხადება, მოხსენებითი ბარათი) შესაბამისი რეაგირება (შემოსული წერილის შესწავლა,მომზადება,პასუხის გაცემა.)

გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის განყოფილება, ახორციელებს კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას და თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას.

გორსა და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში საუკეთესოდ მორთული ფასადებისა და ეზოების (გარე ნაწილი) გამოსავლენად საახალწლო კონკურსი „ყველაზე საახალწლო" გაიმართა. კონკურსსი გამარჯვებული მოქალაქეები ფულადი თანხით და სიგელებით დაჯილდოვდნენ, რომელიც მათ 31 დეკემბერს საახალწლო ღონისძიებაზე გადაეცათ.

2019 წლის 31 იანვარს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, მოეწყო საახალწლო ღონისძიება, კონცერტში მონაწილეობა მოწვეულმა და ადგილობრივმა შემსრულებლებმა მიიღეს. 2020წლის შემობრძანება მოსახლეობას ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიულოცა. საახალწლო კონცერტის მიმდინარეობისას, ახალი წლის მილოცვა, გრანდიოზული ფოიერვერკით აღინიშნა.

3-დან 6 იანვრის ჩათვლით, კულტურის ცენტრში საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე ღონისძიება გაიმართა, მოწვეულნი იყვნენ სოციალურად დაუცველი, დევნილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, წარმოდგენილი იყო საბავშვო სპექტაკლები.

საახალწლო ღონისძიების ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, დევნილი და გამყოფ ხაზთან მცხოვრები 500 ბავშვი გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საშობაო სპექტაკლზე დაპატიჟა. პატარებმა იხილეს ჩარლზ დიკენსის მოთხრობის მიხედვით დადგმული წარმოდგენა „საშობაო სიმღერა." სპექტაკლის დასასრულს ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადაეცათ.

5 თებერვალს წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე სოფელ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში აღინიშნა, სადაც „იავნანამ რა ჰქმნა" წაიკითხეს და მცირე სცენა გაითამაშეს ახალგაზრდებმა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით 18 თებერვალს ცნობილი პოეტის გიორგი მახარობლიძის მემორიალური დაფა გაიხსნა მას 60 წელი შეუსრულდებოდა. ღონისძიებას პოეტის ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საღამოს ღონისსიება გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე გაიმართა.

2020 წლის 20 თებერვალს გორში 100 წლის წინ მომხდარი მიწისძვრის ტრაგედიის აღსანიშნავად ღვთისმსობლის შობის საკათედრო ტაძარში მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილთა სახელზე გორისა და ატენის მიტროპოლიტმა მეუფე ანდრიამ პანაშვიდი გადაიხადა, რის შემდეგაც სერგი მაკალათია სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ისტორიკოსები, ძველი გორელები და მოსწავლე-ახალგაზრდები ესწრებოდნენ
14 აპრილს ქართული ენის დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა გორელ მწერლებთან. შემდეგ, ინტერნეტსივრცით დისტანციურად მწერალ ჯემალ ინჯიამ გორელ მოსახლეობას მიულოცა დედაენის დღე.

9 აპრილს გორში სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა უკვდავსაყოფად ყვავილებით შეიმკო მემორიალი.

9 მაისი - 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, საბრძოლო დიდების მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე მემორიალის შემკობა.

26 მაისი - 26 მაისი (მემორიალის შემკობა) მწერალთა სახლში მოეწყო 26 მაისთან დაკავშიერბით შეხვედრა, მწერალთა სახლის წინ მოეწყო მოსახლეობისთვის 2019 წლის მე-3 მე-4 ჟურნალ „მწიგნობარის" დარიგება.

12 ივნისს ქალაქის კოლორიტს,ყოფილ მოცეკვავეს და გორის საპატიო მოქალაქეს ავთანდილ ლობჟანიძეს 90 წლის იუბილე ქალაქის მერმა კონსტანტინე თავზარაშვილმა და კულტურის სამსახურმა მიულოცა და იუბილარს სასაჩუქრე პაკეტი (ღვინო ნიამორი) და სიგელი გადასცა.

3 ივლისს მწერალთა სახლის ხელმძღვანელი მარინა ჯალიაშვილი ილია ჭავჭავაძის პრემიით დაჯილდოვდა სიგელი გორის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე თავზარაშვილმა გადასცა.

27 ივლისს პოეტ მერი მარწყვიშვილს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მადლობის სიგელი გადაეცა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისთვის.

გაიხსნა ცნობილი გორელი მსახიობის, გორის საპატიო მოქალაქის ბატონი ანზორ გვაძაბიას ვარსკვლავი. ღონისძიების საზეიმო ნაწილი გაიმართა თეატრის ეზოში.

8 აგვისტოს გორში 2008 წლის ომში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა მემორიალები გვირგვინებით შეამკეს.

11 აგვისტოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შინდისის გმირებს პატივი მიაგეს და მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.

13-17 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტში ჩატარდა დოკუმენტური ფილმების მინი ფესტივალი Cine Doc – Gori, რომელის გორის მუნიციპალიტეტის მერიის ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდა. ღონისძიებას ესწრებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები და გორის საზოგადოება.

სამომავლო გეგმები: გორის საპატიო მოქალაქის, ცნობილი მოცეკვავის ანზორ კუპრავის

ვარსკვლავის გახსნა.

თანადაფინანსება 2020 წელი						
№	პროექტი	მიზანი (მოკლე მიმოხილვა)	პარტნიორი ორგანიზაცია	წელი	პროექტის ღირებულება	მერიის წილი
1	სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახ. პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	11 და 12 იანვარს საახალწლო სპექტაკლი „საშობაო ზღაპარი“ ჩატარდა ხელშეკრულება№ 1	გორის მუნიციპალიტეტის მერია	2020	7 500	6 000
2	ა(ა)იპ წმ.ალექსანდრე ოქროპირიძის სახ.სკოლა დათო ჭიღლაძე	ჭრა-კერვის წრის თანადაფინანსება (სოფ.ნიქოზი,ზემო-ქვემო ნიქოზი,ზემო ხვითი) ხელშეკრულება №2	გორის მუნიციპალიტეტის მერია	2020	11 700	6 800
3	„კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“	შშმ პირებისათვის ხელობის შესწავლა (ტიხრული მინანქარი) ხელშეკრულება №3	გორის მუნიციპალიტეტის მერია	2020	9 240	7200
4	ფ/ბ გიორგი ტატულაშვილი	გორში ქართული კერამიკის შესწავლის კლასი ხელშეკრულება №4	გორის მუნიციპალიტეტის მერია	2020	**14 847**	**12 000**
5	შპს ბავშვთა სამყარო	საახალწლო ღონისძიება სოციალურად დაუცველი და დევნილი ბავშვებისთვის ხელშეკრულება N8	გორის მუნიციპალიტეტის მერია	2020	1050	750

სპორტის განყოფილება

სპორტის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას:

სპორტის მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების კოორდინაციას;

სპორტული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობას;

სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

დაფინანსებული ღონისძიები:

ა(ა)იპ შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსება 15000 ლარით, გორის საფეხბურთო სკოლის მოსწავლეები გაემგზავრნენ ბელორუსიაში საერთაშორისო ტურნირზე.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა: ღონისძიების ორგანიზებისათვის მოხდა სხვადასხვა სახის ინვენტარის და სპორტული ეკიპირების შეძენა, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 6 266 ლარი.

ა(ა)იპ კავშირი „ჯიქი“: თანადაფინანსების მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია, 100000 ლარით. დღეის მდგომარეობით გახარჯულია 65450 ლარი.

ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კლუბი გორი: თანადაფინანსების მთლიანი ღირებულება განსაზღვრულია 25 000 ლარით. დღეის მდგომარეობით გახარჯულია 24 999 ლარი და 54 თეთრი.

ახალგაზრდული მედია კავშირი 7995 ლარი.

ვეტერან გორელ ფეხბურთელის აკაკი ხოხობაშვილს, 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით საჩუქრად გადაეცა 400 ლარი.

ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილები

მსოფლიოში შექმნილი კოვიდ-19 კრიზისის გამო, ახალგაზრდებთან მუშაობის სპეციფიკა რადიკალურად შეიცვალა, რამაც ერთგვაროვანი უარყოფითი დაღი დაასვა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას გორის მუნიციპალიტეტში. მიუხედავად ზ/აღნიშნულისა განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა მიზანი იყო დისტანციური აქტივობების დანერგვა და განვითარება. ახალგაზრდებში კომპეტენციების ერთერთი შემადგენელი ნაწილი არის, თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება, რაც ერთმნიშვნელოვნად ყურადსაღებია და გასათვალისწინებელი, აღნიშნულიდან გამომდინარე ახალგაზრდული განყოფილება წლის მეორე კვარტალში გადავიდა ნაწილობრივ დისტანციურ მუშაობაზე.

13 იანვარი - პროექტი "სიკეთე ჩვენი ვალია", ახალგაზრდების ინიციატივით და გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული განყოფილების მხარდაჭერით, გორის მუნიციპალიტეტში შეგროვდა მეორეადი ტანსაცმელი და საკვები, რომელიც გადაეცა სოციალურად, შეჭირვებულ,მრავალშვილიან ოჯახებს. აღნიშნული პროექტის ინიციატორი ნინი მაისურაძე (სოფელი დიცი).

19 იანვარი - მუშაობა განაახლა პროექტმა „სასკოლო თვითმმართველობის განვითარების პროგრამამ თემით „პოლიტიკური იდეოლოგიები", რომლის მიზანია ახალგაზრდებში ცნობადობის ზრდა სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიების მიმართ. პროექტში ჩართული იყო 75-ამდე ახალგაზრდა.

20 იანვარი - გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული განყოფილების მხარდაჭერით ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს „კიბერ-სპორტის კლუბი", რომელიც შემდგომში გარდაიქმნება და ჩამოყალიბდება, როგორც „შიდაქართლის კიბერ-სპორტის ფედერაციად". პროექტის მიზანია ახალგაზრდებში ცნობადობის გაზრდა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, გუნდების ჩამოყალიბება და მომავალში საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა. პროექტის ხელმძღვანელი ლაშა დანელიანი.

22 იანვარი - პროექტ „სასკოლო თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა იმიტირებული არჩევნების მოსამზადებელი აქტივობები, რომლის მიზანი იყო, ახალგაზრდებში ცნობადობის ზრდა, საარჩევნო პროცესებში ჩართული აქტორების და მათი როლის შესახებ. ახალგაზრდებმა მოაწყვეს იმიტირებული პრეს-ცენტრი სადაც მოწვეული იყვნენ პროექტში ჩართული სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელი ახალგაზრდები, რომლებსაც მიეცათ საშუალება მოეწყოთ იდეოლოგიის პოპულარიზაციის მიზნით კონფერენცია. აღნიშნული პროექტი განხორციელდა „დემოკრატიის ცენტრის" მხარდაჭერით (პროექტი იყო, იმიტირებული).

25 იანვარი - სასკოლო თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში გაიმართა იმიტირებული არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 75 ი ახალგაზრდა. პროექტის მიზანი იყო, ახალგაზრდებში ცნობიერების გაზრდა არჩევნებთან დაკავშირებით, მის თანმდევ პრობლემებსა და

აქტივობებთან დაკავშირებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მოეწყო იმიტირებული საარჩევნო უბანი სადაც, როგორც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დეტალურად გაითამაშეს ახალგაზრდებმა თავიაანთი ფუნქცია მოვალეობები.

28 იანვარი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა დებატ-კლუბი, რომელის მიზანია ახალგაზრდებში ინტელექტუალური თამაშების, კონკრეტულად კი დებატების ტექნოლოგიის შესახებ ცნობადობის ზრდა. მთავარი მიზანი კი, სამომავლოდ სხვადასხვა დონის დებატებში გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალგაზრდების ჩართულობა. აღსანიშნავია, რომ, გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები აქტიურად იღებენ მონაწილეობას საქართველოს დონეზე გამართულ ჩემპიონატებში და წარმატებებსაც აღწევენ. აღსანიშნავია თამთა ჭალიძის, გვანცა ფიდიურის, გვანცა კაპოიანის, ნათია მჭედლიძის და თეკლა ხაჩიძის, სალომე სხირტლაძის აქტიური ჩართულობა.

02 თებერვალი - სასკოლო თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში გაიმართა ტრენინგ-კურსი თემაზე ლიდერი და ლიდერული თვისებები, რომლის მიზანია ახალგაზრდებში ლიდერული თვისებების განვითარება, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და მათი გააქტიურება.

4 თებერვალი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული განყოფილების ინიციატივით დაიწყო პროექტი „თანატოლ-განმანათლებლების ცენტრი", რომლის მიზანია ახალგაზრდების მომზადება შემდგომში მათი ტრენერებათ ჩამოყალიბების მიზნით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა პირველი შეხვედრა სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში სადაც ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგი სოციალურ აქტივიზმთან დაკავშირებით. თანატოლგანმანათლებლები დააკვირდნენ აქტივობების ჩატარების სპეციფიკას და ისწავლეს, თანატოლებთან მუშაობის პრინციპები.

10 თებერვალი - სასკოლო თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდებს შეხვდა გორის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი კონსტანტინე თავზარაშვილი, რომელმაც პირადად მოისმინია ახალგაზრდების პრობლემები და დაპირდა მხარში დგომას. ახალგაზრდებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ.

11 თებერვალი - პროექტ „თანატოლ-განმანათლებელითა ცენტრის" ფარგლებში, ახალგაზრდული განყოფილება ეწვია სოფელ ნიქოზის საჯარო სკოლის ახალგაზრდებს სადაც, ჩაატარა მასტერკლასი თემაზე :სოციალური აქტივიზმი. პროექტის მიზანია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება ახალგაზრდულ პროექტებთან დაკავშირებით, მათი სოციალურ აქტივიზმში ჩართულობა და თანატოლ-განმანათლებლების პროფესიული ზრდა.

12 თებერვალი - გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა უმასპინძლეს აშშ ს საელჩოს წარმომადგენლობას, რომლებმაც ახალგაზრდებისთვის ჩაატარეს ტრენინგი თემაზე

„ეკოლოგია და ეკოლოგიის საფრთხეები“ აღნიშნული პროექტი გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

18 თებერვალი - პროექტ „თანატოლ-განმანათლებელითა ცენტრის“ ფარგლებში, ახალგაზრდული განყოფილება ეწვია სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლის ახალგაზრდებს სადაც, ჩაატარა მასტერკლასი თემაზე :სოციალური აქტივიზმი. პროექტის მიზანია სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება ახალგაზრდულ პროექტებთან დაკავშირებით, მათი სოციალურ აქტივიზმში ჩართულობა და თანატოლ-განმანათლებლების პროფესიული ზრდა.

26 თებერვალი - სასკოლო თვითმმართველობის განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა იმიტირებული სასამართლოს მოსამზადებელი აქტივობები. ახალგაზრდები პროგრამის ფარგლებში გაეცნენ სასამათრთლოს სპეციფიკას, სამოქალაქო და სისხლის სასამართლოს საქმის ერთმანეთისგან გარჩევას. შემდგომში ჩამოყალიბდა რამოდენიმე გუნდი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ სასამართლო პროცესში. ტრენერი ბექა ასანიძე.

29 თებერვალი - ახალგაზრდებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ადგილობრივი თვითმმართველობა“, სადაც ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ უკეთ გაცნობოდნენ თვითმმართველობის არსს და უკეთ შეესწავლათ თვითმმართველობის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარების პროცესში. ტრენერი ბექა ასანიძე.

1 მარტიდან ახალგაზრდული განყოფილება, ისევე, როგორც განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირადი შემადგენლობა ჩავერთეთ, კოვიდ 19 თან დაკავშირებულ სოციალურ აქტივობებში. დაგვევალა სოციალურად დაუცველი პირების საკვებით და სხვადასხვა საჭიროებებით ყოველდღიური მომარაგება. ღნიშნული პროცესი გაგრძელდა მიმდინარე წლის ივლისის თვემდე.

14 მარტი - დისტანციური მეთოდით განხორციელდა ახალგაზრდებთან შეხვედრა კარანტინში მყოფ ლიდერთა ლიგის წარმომადგენელთან, ქალბატონ ელინა ღამბაშიძესთან, რომელმაც დეტალურად ისაუბრა კოვიდის საშიშროებასა და მის თანმდევ პრობლემებზე. ქალბატონი ელინა დაბრუნდა იტალიიდან და 14 დღიანი კარანტინი გაიარა ერთერთ სასტუმროში.

10 აპრილი - დისტანციური სემინარი თემაზე სამართალ და ადამიანის ფუნდამეტური უფლებები. პროექტის ჩაერთო 20 მდე ახალგაზრდა, მიზანია ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ტრენერი ბექა ასანიძე.

3 მაისი - ინტერნეტ რადიო „მოზაიკის მეშვეობით ახალგაზრდებს მიეწოდათ ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტების და პროგრამების შესახებ სადაც, ნებისმიერ ახალგაზრდას აქვს ჩართვის საშუალება ან კონკრეტული პროექტის პირადი განვითარებისთვის გამოყენება.

4 მაისი - პროგრამა ზუმის მეშვეობით ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე „სისტემა და სისტემური მმართველობა“. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა უკეთ გაიგეს რა არის სისტემა, როგორ მუშაობს, რა დადებითი და უარყოფითი თვისებები გააჩნია, რომ შეიძლება სისტემური სამუშაოები შეაჩეროს ან დააზიანოს პროცესი.

9 მაისი - პროგრამა ზუმის მეშვეობით გაიმართა სემინარი თემაზე მეორე მსოფლიო ომი და ქართველების როლი აღნიშნულ კამპანიაში. ახალგაზრდებმა გაიგეს ისეთი ფაქტების შესახებ, რომელიც დღემდე არ არის ცნობილი, გიტლერის სამომავლო გეგმები,რომელიც საქართველოს და კავკასიას ეხებოდა. საილუსტრაციოდ ნახეს გერმანელების მიერ შექმნილი სტრატეგიული რუქა, რომლის ფარგლებშიც საქართველოც არის მოქცეული, როგორც კოლონიად.

21 მაისი - გორის მუნიციპალიტეტის პარტნიორი ორგანიზაცია RDFG -ის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში დააფინანსა გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგარდის მიერ დაწერილი სოციალური პროექტი, რომელსაც გადაეცა 10 000 ლარი. (სოციალური საწარმო დღემდე აქტიურად მუშაობს თავისი მიმართულებით).

25 მაისი - საქართველოს მომავლის აკადემიის მიერ ორგანიზებულ ბრიტანული სტილის დებატების ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდა გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ორი ახალგაზრდა ნატია მჭედლიძე (სოფ.ტირძნისი) და თამთა ჭალიძე (სოფ. პტ.გარეჯვარი). აღნიშნული დებატი გახლდათ საქართველოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა, რომელშიც გაიმარჯვა თამათა ჭალიძემ.

1 ივნისი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულმა განყოფილებამ მიულოცა ახალგაზრდებს პროგრამა ზუმის მეშვეობით და ჩაატარა ტრენინგი თემაზე ბავშვთა უფლებები.

12 ივლისი დაიგეგმა და განხორციელდა ინტელექტუალური თამაში „რა?სად?როდის?“, რომელიც მიმდინარეობდა ორი თვის მანძილზე დისტანციურად. პროექტი განახორციელა გორის მუნიციპალიტეტმა პარტნიორ ორგანზიაცია “ლიდერთა ლიგის“ ინტელექტთა კლუბის დახმარებით. პროექტში ჩაერთო 16 გუნდი, რომლებმაც ინდივიდუალური თმაში გაიარეს დისტანციური მეთოდით.

16 ივლისს -გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული განყოფილება ჩაერთო საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დაგეგმილი ახალგაზრდობის საჭიროების კვლევაში, რომლის მიზანია საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული გარემოს გაუმჯობესება, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა, გორის შემთხვევაში კი ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განახლება. კვლევის შედეგად გორის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 600 ზე მეტი ახალგაზრდა

26 ივლისი დაიწყო პროექტი „მდგრადი ენერგეტიკის განვითარების კვირეული, რომლის ფარგლებში განხორციელდა ხუთი აქტივობა, რის შედეგადაც გორის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიკავა საქართველოს მასშტაბით მეორე საპრიზო ადგილი. პროექტის მიზანი გახლდათ,

საზოგადოებაში მდგრადი ენერგეტიკის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და შესაბამისი აქტივობების განხორციელების პოპულარიზაცია.

27 ივლისი - სასკოლო თვითმმართველობის განვითარების პროგრამაში ჩართული ახალგაზრდებისთვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია გაიმართა, გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა დასვენების პარკში. სერტიფიკატები ახალგაზრდებს გადასცა გორის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონ კონსტანტინე თავზარაშვილმა.

28 ივლისს პროექტ მდგრადი განვითარების კვირეულის ფარგლებში ახალგაზრდებმა გამართეს დებატები თემაზე „მდგრადი ენერგეტიკა". აღნიშნული აქტივობების ფარგლებში ახალგაზრდებს გადაეცათ მონაწილეობის სერტიფიკატები და წამახალისებელი ფასიანი საჩუქრები.

10-13 ივნისი - გორის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლებმა, საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს დახმარებით გაიარეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი რუსთავის მუნიციპალიტეტში მდებარე სკაუტთა ბაზაზე. თემა ახალგაზრდული პოლიტიკა და მისი ფორმირება მუნიციპალიტეტებში.

16 ივნისი - გორის კულტურისა და დასვენების პარკში გამიართა ფინალური შეხვედრა ინტელექტუალურ თამაშ რა?სად?როდის?-ში, რომელიც მიმდინარეობდა რამოდენიმე თვის განმავლობაში და ჩართული იყო 16 გუნდი (გუნდში 5 ახალგაზრდა) გამარჯვებულ გუნდს გადაეცა ფასიანი საჩუქრები და სამახსოვრო სერტიფიკატები. პროექტი განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის, ა(ა)იპ ლიდერთა ლიგის და გორის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ თემურ ხუბულურის მხარდაჭერით.

30 ივლისს -გორის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა ასტრო-ფესტივალი. ორგანიზატორი "საქართველოს ასტროკლუბი". პროექტის მიზანი გახლდათ მოსახლეობაში ასტროლოგიის პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით ცნობადობის ამაღლება. პროექტის ფარგლებში მოსახლეობას საშუალება მიეცათ დაკვირვებოდნენ სხვადასხვა ციურ სხეულებს, როგორებიცაა მზე(სპეციალური ფილტრით), მთვარე, ვენერა, იუპიტერი. პროექტის ფარგლებში მოეწყო თემატური სემინარი.

შემოსული პროექტების რაოდენობა 6 თანადაფინანსება გაეწია მხოლოდ ოთხს (იხილეთ ცხრილი). კოვიდ-19 ის გამო განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ვერ დაფინანსდა სამი პროექტი.

2020 წელს თანადაფინანსება გაეწია შემდეგ ორგანიზაციებს

	ორგანიზაცია	პროექტი	მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერა
1	მომავლის ახალხიზა	სოფელ კოშკებისა და ზეთლემის საინიციატიო ჯგუფების განვითარება	2000 ლარი
2	ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსტა გაერთიანება	მომავალ მეწარმეთა სკოლა 2020	2000 ლარი
3	ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსტა გაერთიანება	სოციალური მეწარმეობის განვითარება	2000 ლარი
4	ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსტა გაერთიანება	მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების კამპანია	2000 ლარი
	სულ		8 000 ლარი

საზღვარგარეთ, სხვადასხვა სასწავლო ტრენინგ-კურსებზე ჩართვისთვის დაფინანსდა ორი ახალგაზრდა (იხილეთ ცხრილი):

მარიამ დოთიაშვილი	გზის ხარჯის ანაზღაურება	1	2237 ლ
ანი აკოფაშვილი	გზის ხარჯის ანაზღაურება	1	500 ლ
სულ			2737 ლარი